საქართველოს მთავრობის

დადგენილება №18

2021 წლის 21 იანვარი

ქ. თბილისი

„ხორბლის ფქვილის სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ნოემბრის №716 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ხორბლის ფქვილის სუბისიდირების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ნოემბრის №716 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/11/2020, 190020030.10.003.022437) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ხორბლის ფქვილის სუბისიდრების სახელმწიფო პროგრამის“:

1. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სუბსიდიის მოცულობა შეადგენს ერთ 50-კილოგრამიან ტომარა პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილზე არაუმეტეს 15 ლარს;“;

ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ეთხოვოს საქართველოს პურის მრეწველთა კავშირს, სააგენტოს მიაწოდოს პურის მწარმოებელთა სია, რომელთა თანხმობის საფუძველზეც სააგენტო შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვს შესაბამის ინფორმაციას პურის მწარმოებელთა შესახებ, რომლებსაც დადგენილების ამოქმედებიდან უკანასკნელი 90 დღის განმავლობაში ელექტრონული სასაქონლო ზედნადებით შესყიდული აქვთ არანაკლებ 75 ტონა ფქვილისა ან იმპორტირებული აქვთ არანაკლებ 140 ტონა ხორბლისა;“.

2. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბენეფიციარს დაეკისრება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით რეალიზებულ სუბსიდირებული პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილის რაოდენობაზე მიღებული სუბსიდიით განსაზღვრული თანხის უკან დაბრუნება და პირგასამტეხლო, რომელიც განისაზღვრება დარღვევით მიღებული სუბსიდიის თანხის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 50 000 ლარისა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი გავრცელდეს პროგრამის ფარგლებში 2021 წლის 1 თებერვლიდან 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით რეალიზებული პირველი ხარისხის ხორბლის ფქვილის სუბსიდირებაზე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**